პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 167 (5457)
1975 წ. 23 აგვისტო, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფ. მელნიკი — 70,20 მ
## მ. ულიმოვი — 3.37,5
## ტ. შოუ — 3.53,31
## თ. შელოფასტოვა — 1.04,70

ღირსეულად
შევხვდეთ
სკკპ
XXV
ყრილობას!

## მეტი მონდომებით

ჩვენ, თბილისის სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურენი, დიდი გულისყურით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

დიახ, საბჭოთა მშრომელებს სახელოვანი ტრადიცია აქვთ — ახალი შრომითი მიღწევებით ხვდებიან პარტიის ყრილობას. ყველა ჩვენგანის ვალია ამ ტრადიციის შენარჩუნება, გაღრმავება. სწორედ ამიტომ, ჩვენი კოლექტივის ღია პარტიულ კრებაზე, როდესაც მშრომელები გადიდებულ ვალდებულებებს იღებდნენ მომავალი დიდი ისტორიული მოვლენის ღირსეულად შეხვედრისთვის, ცხადია, სხვებს არც დეპოს ფიზკულტურელები ჩამოვრჩით. ყველამ გადავწყვიტეთ მეტი მონდომებით, მეტი ენერგიით ვიშრომოთ. ჩემი პირადი ვალდებულებაა კვარტალური გეგმა შევასრულო ამ ღირსსახსოვარ თარიღამდე ერთი თვით ადრე, ხოლო ამ წლის გეგმა — 7 ნოემბრამდე.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს გაცილებით მეტი ენერგიით შეუძლიათ შრომა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი კოლექტივის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ხელმძღვანელობა მუდამ ცდილობს ფიზკულტურელთა რიგების გაზრდას, სპორტული ბაზების მოწყობას...

მჯერა, რომ თბილისის სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურენი და, რა თქმა უნდა, ფიზკულტურელები, მაღალნაყოფიერად, თავდადებით იშრომებენ საწარმოო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად შესრულებისთვის, რათა ხელხვავიანად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას.

ვ. კოკოლაშვილი,
ექსპერიმენტული სამქროს ზეინკალი, პირველთანრიგოსანი ფრენბურთელი.

## ნიჩბოსან ქალთა სტარტები

ნოტინგემი, 22 აგვისტო. ევროპისა და საბჭოთა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელმა გენოვაიტე რამოშკენემ კარგად აიღო სტარტი აკადემიურ ნიჩბოსნობაში აქ დაწყებულ მსოფლიო ჩემპიონატში. მან გაიმარჯვა წინასწარ გაცურვაში და ნახევარფინალის საგზური მიიღო.

პირდაპირ ფინალში გავიდა საბჭოთა რვაადგილიანი ნავი.

დანარჩენი ნავებით საბჭოთა ქალებს სანუგეშო რბოლებში მოუხდებათ გამოსვლა.

## რეკორდები

ციურიხი, 21 აგვისტო. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოველმა ფაინა მელნიკმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 70,20 მ. ეს ბრწყინვალე შედეგი 80 სანტიმეტრით აღემატება მისსავე უწინდელ მსოფლიო რეკორდს და მეათე შესწორებაა, რომელიც 1971 წლის 18 აგვისტოდან შეიტანა მელნიკმა მსოფლიო რეკორდების ცხრილში.

შესანიშნავი საბჭოთა მძლეოსანი ფ. მელნიკი დედამიწის ზურგზე პირველი ქალია, ვინც ბადროს 70-მეტრიან ზღვარს გადააცილა.

* * *

სურათზე: ფ. მელნიკი ასპარეზობისას.

ხაკდესის ფოტო.

პოდოლსკი, 21 აგვისტო. ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ოლიმპიური ბაზის ტარტანის ბილიკზე ვოლგოგრადელმა მძლეოსანმა მ. ულიმოვმა სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 3.37,5. უწინდელი მიღწევა (3.37,8) მოსკოველმა ი. ივანოვმა დაამყარა 1972 წელს ტურინში.

აქ გამართული შეჯიბრება საკავშირო „მორბენლის დღის“ პროგრამით ჩატარდა. კიეველმა სსრ კავშირის ჩემპიონმა რ. კატიუკოვამ 3000 მ 8 წუთსა და 56,4 წამში გაირბინა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს საბჭოთა ქვეყანაში.

მოასპარეზეებმა კიდევ ბევრი სხვა მაღალი შედეგი აჩვენეს.

კანზას-სიტი, 21 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა აქ დაწყებული ჩემპიონატი მსოფლიო რეკორდით „გახსნა“ 17 წლის ტიმ შოუმ: 400 მეტრი თავისუფალი სტილით მან 3 წუთსა და 53,31 წამში დაფარა. შოუმ, რომელსაც ეკუთვნის მსოფლიო რეკორდები 800 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც, 0,64 წამით გაუსწრო თავისივე მიღწევას (3.53,95), რომელიც 19 ივნისს დაამყარა კალის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამერიკელ მოცურავეთა შესარჩევ შეჯიბრებაში.

საინტერესოა თვალი გავადევნოთ შოუს სისწრაფეს სარეკორდო გაცურვაში: 100 მ — 57,43; 200 მ — 1.57,46; 300 მ — 2.56,07.

— რეკორდის დამყარებაში ჩემი მეგობარი ბრიუს ფერნისი დამეხმარა, — შეჯიბრების შემდეგ თქვა შოუმ. — მან დისტანციაზე დიდი შრომა გასწია და ჩემთვის საუცხოო ორიენტირი იყო.

ლიდსი. ამას წინათ ინგლისის ამ ქალაქში გაიმართა ევროპის თასის გათამაშება მოცურავე ქალთა გუნდებს შორის. 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით შეჯიბრებაში II ადგილზე გასულმა თ. შელოფასტოვამ სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა — 1.04,70.



## რამდენიმე დეტალი ტურნირის მთავარი მატჩიდან

მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთელ ვაჟთა საკონტინენტთაშორისო თასის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მატჩს სპეციალისტები და სპორტის ამ სახეობის მოყვარულნი დიდი მოუთმენლობით ელოდნენ. ჯილდო ჯილდოდ, მაგრამ ამ მატჩში სხვაც ბევრი რამ იყო საინტერესო. ამერიკელები გუნდს ოლიმპიადისთვის ამზადებენ და ამ ნაკრებს უნდა დაემტკიცებინა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. ამერიკელები შინ თამაშობდნენ და, ცხადია, რევანშისთვისაც უნდა ეზრუნათ. და, ბოლოს, ამერიკისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრათა ისტორიას აქვს ერთობ საინტერესო სიუჟეტი და გრინსბოროში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) გამართული ეს მატჩიც ამ სიუჟეტის ერთი ახალი ფურცელი უნდა ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, მეტოქეებმა ბრძოლა დაიწყეს ისე, ვითომ თასი აქ არაფერ შუაში იყო.

დებიუტში უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს. ეს უპირატესობა მათ გამუდმებულმა იერიშებმა მოუტანა. მე-9 წუთზე ისინი დაწინაურდნენ 8 ქულით (19:11), მე-11 წუთისთვის კი ანგარიში უკვე 31:19 იყო. ამ პერიოდში საუცხოოდ თამაშობდნენ პარიში და კუკი. შორიდან ზუსტად ტყორცნიდა პარკინსონი...

როცა ერთი გუნდი გამუდმებით უტევს, მეორეს, როგორც წესი, არ გამოსდის თამაში. ამიტომაც საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა მთლიანად შეცვალა შემადგენლობა და მოედანზე გამოიყვანა პირველი ხუთეული: სერგეი და ალექსანდრე ბელოვები, ედეშკო, ჟიგილიი და ქორქია. ამ რადიკალურმა ნაბიჯმა მდგომარეობა შეცვალა: პირველი ტაიმის მიწურულს სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა — 38:39.

მეორე ტაიმი დაიწყო იმით, რომ ს. ბელოვმა ამ მატჩში პირველად დააწინაურა თავისი გუნდი — 40:39. მერე კი საბჭოთა კალათბურთელებმა დაიწყეს ამერიკელთა კალათის იერიში. 33-ე წუთისთვის ბრძოლის სურათი უკვე მთლიანად შეცვლილი იყო. ახლა უკვე ამერიკელებმა „იტვირთეს“ მდევრის უსიამოვნო როლი — 57:64. მატჩის ბოლო წუთებზე მათ შეამცირეს სხვაობა 3 ქულამდე (63:66), მაგრამ ეს იყო და ეს. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით — 71:65.

ასეთია მოკლედ ამ პრინციპული მატჩის დეტალები.

თამაშის შემდეგ ამერიკელთა მწვრთნელმა დ. გუვიდმა თქვა: „საბჭოთა ნაკრები ბრწყინვალე გუნდია. შეუცდომლად ითამაშა ამ მატჩში სერგეი ბელოვმა. ჩვენი ახალგაზრდებისთვის ეს შეხვედრა იყო დიდი გაკვეთილი ოლიმპიური ტურნირის წინ“.

დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა: „ისეთი ძლიერი მეტოქის დამარცხება, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებია, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. ჩვენი წარმატების მთავარი საწინდარი იყო დაცვის სწორი ორგანიზაცია, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. სერგეი ბელოვი, როგორც მუდამ, შეუდარებელი იყო. მაგრამ მასთან ერთად უნდა დავასახელო ალექსანდრე ბელოვიც, ივან ედეშკოც, მიხეილ ქორქიაც და ალჟან ჟარმუხამედოვიც. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნაკრების დებიუტანტებმაც: სტანისლავ ერიომინმა, ანდრეი მაკეევმა და ვლადიმერ არზამასკოვმა“.

ამერიკის პრესა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში საბჭოთა კალათბურთელთა გამარჯვების შესახებ წერს, რომ სსრ კავშირის ნაკრები უდავოდ უძლიერესი იყო ტურნირში. გაზეთების სპორტული მიმომხილველები, კერძოდ, გრინსბოროს „დეილი ნიუსი“, აღნიშნავენ საბჭოთა ნაკრების კაპიტნის ს. ბელოვის ბრწყინვალე თამაშს.

## ყველა პრიზი მასპინძლებს დარჩათ

მოსკოვი, 21 აგვისტო. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის კორტებზე მიმდინარე მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ფინიშამდე ორი დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ შეჯიბრების ყველა პრიზი მასპინძლებს დარჩებოდათ: დღეს გამართული ასპარეზობის შედეგად „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდნენ სტუმართაგან უკანასკნელნიც — რუმინელთა შერეული წყვილი ფლორენტა მიხაი და გეორგე ბოაგე (ეს დუეტი მეოთხედფინალში დამარცხდა მოსკოველებთან ელენა გრანატუროვასთან და ალექსანდრე ბოგოლიუბოვთან) და გამოცდილი უნგრელი ჩოგბურთელი პეტერ სიოკე (ნახევარფინალში წააგო 20 წლის მოსკოველთან კონსტანტინე პუგაევთან).

წლევანდელი ტურნირი ახალგაზრდობის აღზევებით გამოირჩევა, განსაკუთრებით ვაჟთა ერთეულების თანრიგში, სადაც დღეს აურაცხელ მაყურებელს სიურპრიზთა სიურპრიზი ელოდა: ევროპის და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი ოთხსაათიან ორთაბრძოლაში დამარცხდა 20 წლის მოსკოველთან ვადიმ ბორისოვთან — 3:6, 4:6, 6:4, 6:3, 6:7. ამის შემდეგ გუნებაწამხდარმა მეტრეველმა თანამეწყვილესთან, ასევე თბილისელ თეიმურაზ კაკულიასთან ერთად მარცხის სიმწარე იწვნია ბაქოელებთან სერგეი ლიხაჩოვთან და რამიზ ახმეროვთან სამ პარტიაში.

სხვა ნახევარფინალურ მატჩებში დონეცკელმა მარინა კროშინამ დაამარცხა მოსკოველი ნატალია ჩმირიოვა (6:4, 7:5), ხოლო მოსკოველმა ოლგა მოროზოვამ კიეველ გალინა ბაკშეევას სძლია — 7:6, 6:3.

ამრიგად, ერთეულთა ფინალურ მატჩებში 23 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდებიან პუგაევი — ბორისოვი, მოროზოვა — კროშინა.

### ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩა 9 დღე!

## რატომ ფერხდება ინვენტარის შეზიდვა?

თბილისის 162-ე საშუალო სკოლის ახალი შენობა პირველად გაუღებს კარს მოსწავლეებს. იგი პეკინის ქუჩაზე ააგეს თბილქალაქმშენის № 18 ტრესტის პირველმა სამშენებლო სამმართველომ (უფროსი გ. ტაგანაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი გ. მამაიაშვილი) და მთავართბილმშენის მიწისქვეშა კეთილმოწყობისა და სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველომ (უფროსი დ. ბუზუციძე, სამუშაოთა მწარმოებელი გ. ჯაყელი).

სკოლა ორი კორპუსისგან შედგება და 1320 მოსწავლისთვისაა განკუთვნილი. პირველ, ოთხსართულიან კორპუსში საკლასო ოთახები და კაბინეტ-ლაბორატორიებია მოთავსებული. მეორე კორპუსში, რომელიც პირველთან გადასასვლელითაა შეერთებული, სასადილო, კლუბი და ტიპური სპორტული დარბაზია.

დირექტორმა, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. ონიანმა გვითხრა, რომ სკოლა საექსპლოატაციოდ 20 აგვისტოს უნდა გადაცემულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. მშენებლობის დაგვიანების გამო (როგორც მიწისქვეშა კეთილმოწყობისა და სპეციალიზებული სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელმა გ. ჯაყელმა განაცხადა, სკოლა 25 აგვისტოსთვის იქნება მზად.) სასკოლო ინვენტარის შემოზიდვა ფერხდება.

ჩვენ, როგორც სპორტული გაზეთის წარმომადგენლები, პირველ ყოვლისა სპორტდარბაზით დავინტერესდით. სამწუხაროდ, იქ დამთავრებული არ არის იატაკის დაგება, კედლებისა და ჭერის შეღებვა, ეზოში ჯერ კიდევ არ არის კალათბურთის მოედანი...

ვ. დანელია.

# ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი რ. კერესელიძე.

• • •

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ ადიგენის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ტულუში გაათავისუფლა თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

კოლეგიამ ადიგენის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ზ. ლეკიშვილი.

კოლეგიამ ყვარლის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ი. სუმბაძე.

სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ხელბურთში ჯ. ჩხარტიშვილი გათავისუფლებულია სამუშაოდან საკუთარი განცხადების თანახმად.

სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელად ხელბურთში დაინიშნა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჯ. აბაიშვილი.

# სხეულის წრთობა — ჯანმრთელობის საწინდარი

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ სურს ჯანმრთელი და მხნე იყოს. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება სხეულის წრთობით, პირველ ყოვლისა — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დახმარებით. სხეულის წრთობა ხომ ფიზიკური აღზრდის სისტემაში შედის და არის არა მარტო ძირითადი პროფილაქტიკური საშუალება ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის, არამედ მნიშვნელოვან გავლენასაც ახდენს ადამიანის ფსიქიკის, მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე, მისი ცხოვრების გზაზე, ხელს უწყობს მას ყოველგვარი სირთულის გადალახვაში. სხეულის წრთობა საჭიროა გონივრულად, ინდივიდუალური თავისებურებების, ორგანიზმის რეაქციის უნარის, სხვადასხვა ასაკში ადამიანის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან, ყოვლად დაუშვებელია ხშირად სმა და თამბაქოს წევა, თუნდაც მცირე დოზებითაც კი.

წრთობის წესები მარტივი და ყველასთვის მისაწვდომია. წრთობის საშუალებები მრავალფეროვანია: მზე, ჰაერი და წყალი; ფიზკულტურა და სპორტი; კვების, შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმის დაცვა და ა. შ.

უნდა გვახსოვდეს, რომ მზის სიკეთის ბოროტად გამოყენება არ შეიძლება. სხვადასხვა ადამიანის მგრძნობელობა სხვადასხვაგვარია. ხშირად მზეზე ნებივრობით გატაცებას ცუდი შედეგი მოსდევს. კანის დამწვრობა, თავის ტკივილი, ნერვული სისტემის საერთო გაღიზიანება, ცუდი ძილი. ხშირია გულისცემის აჩქარება, საერთოდ შრომის უნარის დაქვეითება. და, პირიქით, მზის სხივების ზომიერად, გონივრულად გამოყენება კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. საყურადღებოა ისიც, რომ მზის სხივების წყალობით ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება „დ" ვიტამინი.

სხვათა შორის, „დ" ვიტამინის ნაკლებობა ბავშვთა ასაკში ვლინდება რაქიტის სახით, როცა ნორჩის ძვლები თანდათან რბილდება. ასევე, ძვლის დარბილება გვხვდება უფროსი ასაკის ადამიანებშიც (ეს ავადმყოფობა უმეტესად ფეხმძიმე ქალებში შეიმჩნევა).

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ფიზიკური წრთობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მინერალური ცვლის რეგულირებაში.

„დ" ვიტამინს „ა" ვიტამინთან ერთად (ეს უკანასკნელი აუცილებელია ორგანიზმის ზრდისთვის, ნორმალური მხედველობისთვის და ა. შ.) დიდი რაოდენობით შეიცავს ვირთევზას და საქონლის ღვიძლი. უფრო ნაკლები რაოდენობით იგი შედის რძეში, კარაქში, კვერცხის გულში, ხიზილალაში.

წრთობის არანაკლებ მნიშვნელოვანი და ყველაზე მისაწვდომი სახეა ჰაერის აბაზანები: თბილი (25 გრადუსზე მეტი), მოთბო (23-24), ოდნავ გრილი (18-20), გრილი (16-17) და ცივი (16 გრადუსზე დაბლა). უნდა დავიწყოთ 21-23 გრადუსიდან (სხვათა შორის, ჰაერის ცივი აბაზანები რეკომენდებულია მხოლოდ ახალგაზრდა და შუა ხნის ხალხისთვის).

მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ ეფექტს იძლევა გრილი და ცივი აბაზანების შერწყმა სხვადასხვა ფიზიკურ ვარჯიშთან — ფეხბურთთან, სპორტულ სიარულთან, მსუბუქ სირბილთან. ვარჯიშის ხანგრძლივობა ინდივიდუალურად უნდა დაადგინოს ფიზკულტურისა და სპორტის განხრით მომუშავე ექიმმა. ჰაერით წრთობა ფეხების ვარჯიშთან ერთად საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის სპეციალისტის ა. რუბცოვის წინადადებით სჯობს დავიწყოთ შინ 10-15 წუთს სიარულით (ფეხშიშველა), დღეში ორჯერ. შემდეგ ეს დრო უნდა გაიზარდოს დღეში 30-60 წუთამდე, მაგრამ, სანამ გარეთ პირველად გამოვიდოდეთ ფეხშიშველა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მიწა თბილი და მშრალია. სეირნობა გრძელდება 5-10 წუთს და უფრო მეტ ხანსაც. ფეხშიშველა სიარული ამაგრებს ფეხის ტერფის კუნთებს, არის საუცხოო ვარჯიში ბრტყელტერფიანობის პროფილაქტიკისთვის (განსაკუთრებით ქვიშაზე სიარული).

დასასრულ, წრთობის საუცხოო საშუალებაა წყლის პროცედურები — მდინარესა და ზღვაში ბანაობა და ცურვა. წყლის პროცედურების ჩატარება შინაც შეიძლება წლის ნებისმიერ დროს. ისინი არა მარტო აცოცხლებენ, არამედ ამაგრებენ კიდეც ორგანიზმს, მხნეობას მატებენ ადამიანს.

მაშ ასე, რათა სხეული და გული ახალგაზრდა იყოს, ორგანიზმის წრთობისთვის ზრუნვას ზაფხულში და მთელი წლის მანძილზე მასობრივი ხასიათი უნდა მივცეთ.

**დ. კნოპი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.**

## მშდ კომპლექსის მძლავრი ნაბიჯები

• •

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

### ერთი ქარხნის პრიზები

ხაბაროვსკის კაბელების უნივერსალური ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივის მიერ მოპოვებულ სპორტულ პრიზებს კიდევ ერთი ჯილდო დაემატა — ალკკ საქალაქო კომიტეტის თასი სპორტული ოსტატობისთვის. ამ ქარხნის სპორტსმენებმა I ადგილი დაიკავეს „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გამართულ საქალაქო შეჯიბრებაში. ამასთან, გამარჯვება მოიპოვეს ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

საწარმოში ყოველი მესამე მუშაკი რეგულარულად ვარჯიშობს ფიზკულტურაში. 500-ზე მეტმა კაცმა უკვე ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები, ხოლო 100-მდე მუშამ და მოსამსახურემ ამ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშანი მიიღო. ქარხანაში სპორტის ოსტატთა მთელი თაობა გაიზარდა. მათ შორის არიან ელექტრიკოსი ვ. ბანკინი, ზეინკალი ვ. ზეზიულინი, შემდუღებელი ა. აჩიჩაევი.

მთელ სპორტულ მუშაობას ფაქტიურად საზოგადოებრივი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობენ ძალოსნობის, ფრენბურთის, კალათბურთის, სროლის, სათხილამურო სპორტის, ჭადრაკის სექციები.

უყურადღებოდ არც ვეტერანები რჩებათ. მათთვის შექმნილია ჯანმრთელობის ჯგუფი.

ა. კრესტინსკი.

ხაბაროვსკი.

### ერთგული თანამგზავრი

ნამანგანის ოლქის ნარინის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ბამბის მინდვრებში მშდ კომპლექსის პატარა სპორტული ქალაქი გაჩნდა. სულ ერთი კვირა დასჭირდათ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომ უზარმაზარი ჭადრების ქვეშ მოეწყოთ სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები, მოედნები, ტანვარჯიშული იარაღები, დაედგათ ჩოგბურთის მაგიდები. როგორც კი ჩანაფიქრს ხორცი შეესხა, ახალგაზრდა კოლმეურნეებმა მოიწვიეს ვეტერანები, რომლებიც მათთვის სამაგალითონი არიან არა მარტო შრომაში, არამედ სპორტშიც. მაღალი მოსავლის ოსტატმა, 70 წლის ა.-პ. მატმუსაევმა, რომელიც თავის დროზე უზბეკეთის ჩემპიონი იყო ჭიდაობა კურაშში, ახალგაზრდები შეაქო:

— ამ მინდორზე მართლაც უხვი მოსავალი იქნება — ჯანმრთელობა!

ასეთი „ჯანმრთელობის უბანი" ახლა ექვსია კოლმეურნეობაში. სულ კი, ახალგაზრდების ჩანაფიქრით, რომელსაც მხარს უჭერენ პარტიული ორგანიზაცია და კოლმეურნეობის გამგეობა, უნდა მოეწყოს 15 მსგავსი სპორტული ქალაქი ბამბის მინდვრებში განაწილებული ბრიგადების რიცხვის მიხედვით.

მატმუსაევმა ბირთვი აიღო ხელში და შეათამაშა.

— თქვენ, იყო დრო, ხელყუმბარის ტყორცნაში ტოლს არავის უდებდით, — შენიშნა მატმუსაევის მოწაფემ კურაშში, 57 წლის ბრიგადირმა ა. ჯაბაროვმა.

და ბირთვი გაფრინდა ბევრად შორს მშდ კომპლექსის ნორმატივზე, რომელიც შეტანილია განყოფილებაში „ჯანმრთელობა და მხნეობა".

იმ დღეს პირველი შედეგები ჩაიწერეს მშდ კომპლექსის ანკეტებში ძმებმა მადრახიმოვებმა, ზ. მამაჯანოვამ, ბ. გაფუროვმა და სხვა კოლმეურნეებმა. ბევრმა მათგანმა უკვე კარგ შედეგებს მიაღწია სპორტში, ბევრი რაიონისა და ოლქის ჩემპიონიცაა, რესპუბლიკურ შეჯიბრებათა პრიზიორი, მაგრამ ფიზკულტურის კოლექტივში ორ წესს იცავენ: პირველ ყოვლისა მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი მიიღე და სხვებსაც დაეხმარე შენი საყვარელი სახეობის დაუფლებაში!

განა გაართმევდა თავს საქმეს ფიზკულტურის ინსტრუქტორი მ. ისაკოვი სხვების დაუხმარებლად? მისი ერთგული თანაშემწეები არიან მშდ კომპლექსის ინსტრუქტორები, საზოგადოებრივი მწვრთნელები, თავად კოლმეურნეები. მაგალითად, ა. იბრაგიმოვი და კიდევ ათი თანრიგოსანი მოჭიდავე კურაშისა და თავისუფალი ჭიდაობის მოზარდ ოსტატებს ზრდიან, ზ. მამაჯანოვა ახალგაზრდებს კროსსა და ველორბოლაში ამეცადინებს.

დამახასიათებელია, რომ მშდ კომპლექსის პირველი 50 ნიშნოსანი ბამბის უხვი მოსავლის ოსტატიცაა.

კარლ მარქსის კოლმეურნეობის გამოცდილებამ დააინტერესა მეზობლები. სასოფლო სპორტსაზოგადოება „ფახთაქორის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ა. მაჟიტოვმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. სიდიკოვმა „დათვალიერება" მოაწყვეს. ნარინის რაიონის 9 სხვა კოლმეურნეობის წარმომადგენლები გაეცნენ მინდვრად მოწყობილ სპორტულ ქალაქებს. ყველაფერი მოეწონათ: ყველაფერი მარტივი, იაფი და კარგია. მასპინძლებმა სტუმრებს გადასცეს ქალაქების გეგმები, სპორტულ ნაგებობათა აღწერილობა.

და, უკვე შენდება ნარინის რაიონის ბამბის მინდვრებში ასი პატარა სტადიონი, ჯანმრთელობისა და მხნეობის ასი წყარო.

ახლა „ფახთაქორის" ცენტრალური საბჭო მშდ კომპლექსის ქალაქების ტიპობრივ გეგმებს რესპუბლიკის ყველა რაიონში ავრცელებს.

ტ. გოლუბკინა,
ე. ეფიმოვი.

ტაშკენტი.

# უშმაევი — სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი

**ვილნიუსი, 21 აგვისტო.** (საქდესი). მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა საპარაშუტო სპორტში, თბილისელმა ნ. უშმაევმა პირველად მოიპოვა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება: ამჯერად სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით მიმდინარე ასპარეზობაში. ქალებში გაიმარჯვა ვოროშილოვგრადელმა ვ. ზაკორეცკაიამ.

საპარაშუტო სპორტის „ანბანი" საუცხოოდ აითვისეს მოსკოველებმა ვ. კარპეზამ და ს. პესნიაჩევსკიმ. მათი ხუთივე ნახტომი დაშვების სიზუსტეზე პირდაპირ „მიზანში" მოხვდა. გამარჯვებული გამოავლინა დამატებითმა ცდებმა — ეს იყო პესნიაჩევსკი. ქალებში პირველობდა მოსკოველი ა. სემიონოვა.

სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა მოსკოვის ნაკრები. შემდეგ მოდიან უკრაინისა და უზბეკეთის პარაშუტისტები.

# სვანეთის გადასახედზე...

ლებარდეს პიონერთა ბანაკში ყოველწლიურად 200-ზე მეტი მოსწავლე ისვენებს. პიონერთა ბანაკში (დირექტორი — 1-ლი საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი პ. ბორისოვი) დიდი ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას.

ფიზაღზრდის მასწავლებლები ა. მორგოშია და რ. გვილავა ნაყოფიერად მუშაობენ მოსწავლეებთან, მოეწყო ტურისტული ლაშქრობა სვანეთის გადასახედამდე 60 პიონერის მონაწილეობით.

მშდ კომპლექსის პირველი საფეხურის ნორმატივები 16 მოსწავლემ ჩააბარა, მეორისა კი — 12-მა. ყოველ ნაკადში ტარდება შიდასაბანაკო სპარტაკიადები მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშში...

ფიზკულტურულ საქმიანობაში თავი ისახელეს მ. სურმავამ, ნ. გრიგალავამ, ა. რუხაიამ, ბ. ბასილაიამ, გ. ახალაიამ, დ. დანელიამ...

ბ. ჯაყელი.

ლებარდე,
გეგეჭკორის რაიონი.

• • •

**სურათებზე:** ბანაკის სპორტული ცხოვრების ამსახველი მომენტები.

ავტორის ფოტოები.

## ფეხბურთი '75

### სსრ კავშირის პირველობა

● ●

## ცვლილებები კალენდარში

საბჭოთა ფეხბურთელთა სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობასთან დაკავშირებით შეიცვალა სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარი. „სპარტაკი" — „ტორპედო" და „ზენიტი" — „ფახთაქორი" 7 სექტემბრის ნაცვლად ითამაშებენ 14 ოქტომბერს, ხოლო მოსკოვისა და კიევის დინამოელები — 10 სექტემბრის ნაცვლად 29 ოქტომბერს.

თბილისის დინამოელები ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტს" 14 სექტემბრის მაგივრად შეხვდებიან 13 სექტემბერს. „არარატისა" და „ტორპედოს" მატჩი 28-დან გადმოტანილია 26 სექტემბრისთვის, ხოლო კიევის „დინამოს" მატჩი „სპარტაკთან" 5 ოქტომბრის ნაცვლად შედგება 8 ნოემბერს.

## „ოქროს თავთავის" თასზე

დასასრულს უახლოვდება რესპუბლიკური თასის გათამაშება „ოქროს თავთავის" თასზე, რომელშიც სოფლის ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობენ.

ჩასატარებელი დარჩა ორი ნახევარფინალური მატჩი, რომლებიც 27 და 28 აგვისტოს შედგება. ავნევის კოლმეურნეობის ფეხბურთელები მიიღებენ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდს, ხოლო გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის კოლექტივი — გულრიფშის „კოლმეურნეს".

თასის ფინალური მატჩი თბილისში გაიმართება 31 აგვისტოს.

## „შახტიორის" ბოლო თამაში

**ევორი, 21 აგვისტო.** დონეცკის „შახტიორმა" აქ გამართული შეხვედრით დაამთავრა ამხანაგური საერთაშორისო მატჩების სერია პორტუგალიაში. ამჯერად იგი მეორე შემადგენლობით ეთამაშა მასპინძელი ქალაქის ნაკრებს. მატჩის ანგარიშია 1:1. სტუმართაგან გოლი რეზნიკმა გაიტანა.

## 1:1

**ბუდაპეშტი, 21 აგვისტო.** უნგრელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — კონსტიტუციის დღეს ეძღვნება გუშინ აქ დაწყებული საერთაშორისო ტურნირი.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ფერენცვაროში" და ცსკა. მოსკოველების შემადგენლობა ასეთი იყო: ასტაპოვსკი, უტკინი, ხუდიევი (ანდრიუშჩენკო, მუხანოვი), ვისოკიხი, კაპლიჩნი, შალნევი, ფედოტოვი, დოროფეევი, კოპეიკინი, ჩესნოკოვი, სამოილენკო.

დაძაბული თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

ანგარიში შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ მალე კარისკენ ზურგით მდგომმა დოროფეევმა მიიღო ჩესნოკოვის გადაცემა და ქუსლით გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი: „ჩეპელი" (უნგრეთი) — „ესტუდიანტესი" (არგენტინა).

## II ლიგა I ზონა

20 აგვისტოს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „დილა" (გორი) — „ავტომობილისტი" (თერმეზი) 3:0

პირველ წრეში გორელი ფეხბურთელები თერმეზში სასტიკად დამარცხდნენ (0:4), ამიტომ საკუთარ მინდორზე რევანშის აღება მათი უპირველესი საზრუნავი იყო.

რევანში, თუმცა არასრული, შედგა, ამასთან მასპინძლებმა კოლექტიურად, კომბინაციურად, მონდომებულად ითამაშეს.

გორის „დილას" ახალი მწვრთნელი ჰყავს — თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე, სპორტის ოსტატი ე. ხუციშვილი, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ახალგაზრდა მწვრთნელი შეძლებს კოლექტივთან საერთო ენის გამონახვას.

მასპინძლებმა, რომელთა შორის ორგანიზატორის ფუნქციები ბურჯანაძეს ეკისრებოდა, თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა, რომელიც თანდათან მატულობდა და 31-ე წუთზე გოლითაც დამთავრდა. ბურჯანაძემ სწრაფი რეიდი შეასრულა, კარის წინ გადასცა ბურთი ხანიშვილს, რის შემდეგ ანგარიში გაიხსნა.

გავიდა ხუთიოდე წუთი, კვლავ კარგად ითამაშა ბურჯანაძემ, რომელმაც ამჯერად ბუზალაძესთან გაითამაშა კომბინაცია და ამ უკანასკნელმა მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

46-ე წუთზე „ავტომობილისტს" მიეცა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მაქსიმოვმა ვერ გამოიყენა იგი, ცოტა ხნის შემდეგ კი ბერიკაშვილი — ბუზალაძეს კომბინაცია თერმეზელთა კარში გატანილი მესამე გოლით დამთავრდა.

ი. თევდორაშვილი.

### „მეტალურგი" (რუსთავი) — „ჯიზაკი" (ჯიზაკი) 3:1

პირველი 3 წუთის მანძილზე „ჯიზაკის" კარი ზედიზედ სამჯერ გადარჩა აშკარა გოლს. თამაში სტუმრების საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მიმდინარეობდა, მე-10 წუთზე გოგუაძემ კარგად შეარჩია მომენტი და დაახლოებით 25 მეტრიდან შესანიშნავად დაარტყა ბადეში — 1:0.

„ჯიზაკმა", რომელიც ზონაში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება, მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხა. გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნახევარმცველი კრილოვი, აგრეთვე, თავდამსხმელი რაიმჯანოვი, რომლებიც ხშირად გზავნიდნენ პარტნიორებს შეტევაზე და თვითონაც გადიოდნენ სახიფათო პოზიციაში. მეტალურგებმა საკმაო ხნით დათმეს უპირატესობა, ულეს ტემპს, რითაც მეტოქეს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება მისცეს.

მე-40 წუთზე მასპინძელთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას ალადაშვილმა დროზე შეარჩია ადგილი კარის წინ და მეორე ბურთი გაიტანა „ჯიზაკის" კარში.

შესვენების შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა, ჯიზაკელები დიდი მონდომებით თამაშობდნენ დამარცხებისგან თავის დასაღწევად და 75-ე წუთზე კრილოვმა საპასუხო ბურთიც გაიტანა.

მატჩის ბედი სათუო გახდა, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში კვლავ საზრიანად ითამაშა ალადაშვილმა და მის მიერ გატანილი გოლის შემდეგ „მეტალურგის" გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა.

ნ. ნიკურაძე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „სანტოსის" რეკორდი მოხსნეს

**ბრაზილიის** „სან-პაულუმ" მოხსნა „სანტოსის" ფეხბურთელთა რეკორდი, რომელიც ამ კლუბმა მაშინ დაამყარა, როცა მის რიგებში პელე თამაშობდა. „სანტოსმა" თავის დროზე წაუგებლად ზედიზედ 38 თამაში ჩაატარა, ახლა კი „სან-პაულუმ" ეს ციფრი 43-მდე აიყვანა.

# ჭიდაობა ჩემი ცხოვრებაა

**თემურ აფხაზავამ და ავთანდილ მაისურაძემ I ადგილები დაიკავეს ბულგარეთის ქალაქ ხასკოვოში გამართულ იუნიორ „კლასიკოსთა" მსოფლიო ჩემპიონატში.**

ჯერ ორიოდე სიტყვა ამ ტურნირის მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ ვის ვუწოდებთ იუნიორ მოჭიდავეებს. ისინი მართლაც ახალგაზრდები არიან, მაგრამ, ისევე როგორც ჭაბუკები, მკაცრად მოქცეული ასაკობრივ ჩარჩოებში. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ „კატეგორიის" (20 წლამდე ასაკის) სპორტსმენები ხშირად უფროსთა ტურნირებშიც გამოდიან და, აქედნად, ოსტატების უშუალო შემცვლელებად ითვლებიან. ეს განაპირობებს ჩემპიონატის მნიშვნელობასაც. ხასკოვოს ტურნირი თავისებური რეპეტიცია იყო მონრეალის ოლიმპიური თამაშების წინ. მან შეარჩია ღირსეულთა შორის ღირსეულები, რომლებმაც ადვილი შესაძლებელია ერთი წლის შემდეგ ადგილები დაიკავონ ოლიმპიურ გუნდებში.

... თემურ აფხაზავამ ერთი ფეხით გაგვასწრო ქუთაისში: დიდი გამარჯვების შემდეგ ერთი სული ჰქონდა ენახა ახლობლები, მეგობრები, გაეზიარებინა მათთვის შთაბეჭდილებები. თემურს გული არ გაუჩერდა თბილისში და ბულგარეთიდან ჩამოსვლისთანავე შინ გაემგზავრა.

სამაგიეროდ, ხასკოვოს ტურნირის მეორე გმირს ავთანდილ მაისურაძეს მაგრად ჩავჭიდეთ ხელი და გასაქანი არ მივეცით მანამ, სანამ დეტალური საუბრის თანხმობა არ მივიღეთ.

● **ავთანდილ, იცოდეთ, თქვენი მეგობრის მაგივრადაც მოგიწევთ ლაპარაკი.**

— დიდი მოსაუბრე არა ვარ, მაგრამ თუ შეკითხვებს დამისვამთ, შევეცდები ამომწურავი პასუხები გაგცეთ.

● **თუ არ ვცდები, ეს იყო თქვენი პირველი გამოსვლა საერთაშორისო ტურნირში.**

— ცოტათი შეცდით. წლეულს მე ერთხელ უკვე ვიასპარეზე საკმაოდ დიდ ტურნირში, რომელიც ეგვიპტეში ჩატარდა მაგრამ ის იყო რიგითი საერთაშორისო შეჯიბრება, ბულგარეთში კი ოფიციალური ჩემპიონატი ჩატარდა.

● **როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე უცხოეთის უძლიერეს ფალავნებთან შეხვედრამ კაიროში?**

— თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეგვიპტეში წარმატებას მივაღწიეთ მეც და ჩემმა უფროსმა ამხანაგმა შოთა ხორჩილაძემაც, შთაბეჭდილება არ უნდა ყოფილიყო ურიგო.

● **კი მაგრამ, როგორც ვიცით, თქვენ მძიმე წონაში გამოდიხართ. როგორღა მოხდა, რომ ორივემ პირველი ადგილები დაიკავეთ?**

— კაიროში ბედი ქვემძიმე წონაში ვცადე. მე უფრო ახლო ვარ ამ კატეგორიასთან და წონის დაკლება მაინცდამაინც არ გამჭირვებია. ასე რომ, მე გავიმარჯვე ქვემძიმე წონაში, მორჩილაძემ კი — მძიმეში.

● **ორიოდე სიტყვით გვიამბეთ თქვენი გამოსვლების შესახებ ხასკოვოში. ჩვენმა მკითხველებმა დაწვრილებით არაფერი იციან ამის შესახებ.**

— სულ ოთხი შეხვედრა ჩავატარე. სამი წმინდად მოვიგე, ერთი — აშკარა უპირატესობით.

● **რომელი შერკინება დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— შეხვედრები ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ჩემპიონებთან. ისინი 150-კილოგრამიანი გოლიათები არიან, თანაც, ბრძოლას მოწყურებული ახალგაზრდები, რომლებმაც ჯერ არ იციან, რა არის დროის გაყვანა ან სიმულაცია. ორივე ჩემპიონი გააფთრებით ჭიდაობდა, მაგრამ ორივე წმინდად დამარცხდა.

● **როდის იგრძენით, რომ შეიძლებოდა მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყავით?**

— ბოლო შეხვედრაში ბულგარელ ათლეტთან. მე ფეხი მქონდა ნატკენი და ბრძოლის წინ ექიმს ნოვოკაინის ბლოკადა გავაკეთებინე. ბულგარელმა ეს დაინახა და მთელი ტაქტიკა ამ ნატკენი ფეხის „იერიშზე" ააგო. მაშინ მივხვდი, რომ მას ალალ ბრძოლაში არ შეეძლო ჩემი დამარცხება. ამ შეხვედრას დიდი უპირატესობით ვიგებდი. მაგრამ მსაჯებმა „დამასწრეს" და მომიხსნეს მეტოქე ასპარეზობიდან პასიურობისთვის. ჩვენს გუნდში ყველაზე ადრე ჩემპიონი მე გავხდი.

● **თემურ აფხაზავას შერკინებებზე რაღას იტყვით?**

— თემური ჭიდაობდა ისე, როგორც არასდროს. შვიდჯერ გამოვიდა სარბიელზე და შვიდივეჯერ დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა. არავის შეპარვია ეჭვი მის სიძლიერეში. თემური მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონია.

● **თქვენ ფაქტიურად გზა უკვე გახსნილი გაქვთ საბჭოთა კავშირის უფროსთა ნაკრებში. რას იტყვით მომავალ მეტოქეებზე?**

— ნაკრებში მე ამ ტურნირამდე შემიყვანეს მესამე ნომრად. ახლა, ხასკოვოში გამარჯვების შემდეგ, ალბათ უფრო გამიმაგრდა პოზიციები. შოთა მორჩილაძეზე არაფერს ვიტყვი. იგი ჩემი უფროსი მეგობარია, თანაც სულიერი მასწავლებელი. აი, რაც შეეხება ალექსანდრე კოლჩინსკის, დაუფარავად გეტყვით: მისი სრულებითაც არ მეშინია. ალბათ იმიტომ, რომ ისიც ჩემი ხნისაა. წლეულს კოლჩინსკის ორჯერ მოვუგე, მაგრამ ევროპის პირველობაზე მაინც ის წაიყვანეს პირველ ნომრად.

● **რა თვისებების მქონე უნდა იყოს, თქვენი აზრით, მძიმე წონის მოჭიდავე?**

— ამბობენ, მძიმე წონის ფალავანს ღონე უნდა ჰქონდესო ზღაპრული. ეს ალბათ მართალიც არის, მაგრამ მე უფრო დიდ პატივს ხერხსა ვცემ. ხომ გაგიგონიათ: ხერხი სჯობია ღონესო... ღონიერ მოჭიდავეს მეტწილად წონაც დიდი აქვს, დიდი წონის პატრონი კი ნაკლებს მოძრაობს, ესე იგი სისწრაფე აკლია. მე კი მიმაჩნია, რომ კარგმა მოჭიდავემ მეტოქე, პირველ ყოვლისა, სწორედ სისწრაფით უნდა დაჯაბნოს.

## ლელო ინტერვიუ

● **რამდენია დღეს თქვენი წონა?**

— 105 კილოგრამი. ეს ცოტაა. კიდევ მჭირდება, სულ ცოტა, 5 კილოგრამი. მეტს არ მოვიმატებ, რათა სისწრაფე არ დავკარგო.

● **ვინ შეგაყვარათ ჭიდაობა, ვინ იყო თქვენი უშუალო მასწავლებელი?**

— ვალოდია მაისურაძესთან დავიწყე წვრთნა და დღესაც მისი ზედამხედველობის ქვეშ ვმეცადინეობ. სხვათა შორის, ჩემს მწვრთნელს ერთი დიდი უპირატესობა აქვს: იგი ლეიბზე უშუალოდ შერკინებების დროს მასწავლის ხოლმე ყველაფერს, ჩემთან ერთად ჭიდაობს, ჩემთან ერთად იღლება და ისვენებს.

● **ვინ არის ან ვინ იყო თქვენი იდეალი ჭიდაობაში?**

— ძველი ოსტატების გამოსვლა არ მახსოვს. ნანახიდან ყველაზე მეტად მომწონს რომან რურუას ჭიდაობა. დიდ პატივს ვცემ ომარ ბლიაძის ოსტატობასაც.

● **სპორტის რომელი სახეობა გიყვართ ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ჭიდაობის მერე?**

— ჰოკეი. ჩვენში ეს სახეობა დანერგილი რომ იყოს, მე მოჭიდავე არ ვიქნებოდი.

● **რა მოგწონთ აგრერიგად ამ სპორტში?**

— ჰოკეი ვაჟკაცური სპორტია. მას მშიშარა და ლაჩარი ვერ ითამაშებს.

● **თქვენ ჯერ საკუთარი ოჯახი არა გაქვთ. მაგრამ გავა დრო და დაცოლშვილდებით. სპორტის რომელ სახეობას აირჩევდით თქვენი პირმშოსთვის?**

— თუ ვაჟი იქნა ჩემი მემკვიდრე — ისევ კლასიკურ ჭიდაობას ავირჩევდი, თუ გოგონა — ცურვას. გოგომ აუცილებლად უნდა იცოდეს ცურვა. ეს ჯანმრთელობისთვისაც კარგია და ტანაკობის სილამაზისთვისაც. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. დღესდღეობით ჭიდაობა ჩემი ცხოვრებაა, ხოლო უახლოესი საზრუნავია სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ოცი წლის ვარ და სხვა უფრო გამორჩეული მიზანი ჯერ არა მაქვს.

ჩემპიონს ესაუბრა
ნ. გუგუშვილი.

• • •

სურათზე: ა. მაისურაძე.

● ●

### 140 გულშემატკივარი — ციხეში

**არგენტინელ** გულშემატკივართა უდისციპლინობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ასეთი რამ კარგა ხანია არ მომხდარა.

ცნობილი კლუბების „ბოკა ხუნიორსისა" და „რივერ პლატას" შეხვედრა ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა, ტრიბუნებზე კი გასაოცარი ამბავი მოხდა: მაყურებლები წაკინკლავდნენ, შემდეგ ერთმანეთს დაერივნენ და მასობრივი მუშტიკრივი გამართეს.

140 გულშემატკივარმა ციხეში ამოყო თავი. ბევრი საავადმყოფოში წაიყვანეს.

● ●

### ყველაზე შედეგიანი

**ნორვეგიაში** ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთა გან დიდ ყურადღებას იპყრობს ტრონჰეიმის „როზენბორგის" ცენტრალური თავდამსხმელი ო. ივერსენი. მას ნორვეგიის ჩემპიონატების მატჩებში 99 ბურთი აქვს გატანილი და საცაა თავისებურ იუბილეს გადაიხდის.

ივერსენი ეროვნულ ნაკრებშიც ჩინებულად თამაშობს. მის მიერ სტრასბურგში საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში გატანილმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა სტუმრებს, რაც სენსაციურ შედეგად მიიჩნიეს.

## გუნდურ ჩათვლაში

როგორც ჩვენი გაზეთის 20 აგვისტოს ნომერში ვიუწყებოდით, შვეციის ქალაქ შიოვდეში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება წყალში ხტომაში.

გუნდურ ჩათვლაში საბოლოო ადგილები ასე განაწილდა: **ქალები** — 1. შვეცია — 189 ქულა, 2. სსრ კავშირი — 181, 3. გდრ — 180, **4.** გფრ — 169, 5. იტალია — 142, **6.** ესპანეთი — 180; **ვაჟები** — **1.** იტალია — 193 ქულა, 2. გდრ — 185, 3. სსრ კავშირი — 179, **4.** შვეცია — 157, 5. დიდი ბრიტანეთი — 154, 6. გფრ — 154.

## ქუთაისელთა წარმატება

**ნოვოკუიბიშევსკი, 21 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** ბალახის ჰოკეიში სსრ კავშირის პირველობის მონაწილე პირველი ჯგუფის გუნდების მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკი" და ქუთაისის „ლოკომოტივი". გაიმარჯვეს ქუთაისელებმა — 2:1. მასპინძელთა კარში ორივე ბურთი ბაზაძემ გაიტანა.

ლ. ფაჩუაშვილი.

# ოქროც, ვერცხლიც...

◆

### „კოლმეურნის" მხედართა წარმატება

◆

ნიკოლაევში დამთავრდა სოფლის ცხენოსანთა ტრადიციული საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სპორტსმენებიც. ჩვენი გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო აფხაზეთისა და ზუგდიდის ცხენოსნებით.

საქართველოს ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია და საერთო გუნდურ ჩათვლაში 12 მონაწილეს შორის II ადგილი დაიკავა რსფსრ-ს ცხენოსანთა შემდეგ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოლდავეთის, უკრაინისა და ბელორუსიის წარმომადგენლები.

უფროსი ასაკის ცხენების სამჭიდში ოქროს მედლის მფლობელი გახდა საქართველოს გუნდის წევრი ჯაფარიძე. მანვე II ადგილი დაიკავა სამჭიდში.

წარმატებას მიაღწია ჩვენი გუნდის წევრმა ლაბაშიამ, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიგო „სამონადირეო კლასის" დაბრკოლებათა გადალახვაში.

ც. ფცქიალაძე.

# „პაპების" რეკორდები

სპორტის ყველა მოყვარულმა როდი იცის, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდის ქვეშ ყოველ წელიწადს ტარდება ორმოცდაათს გადაცილებულ სპორტსმენთა შეჯიბრებები და მათთვის მსოფლიო რეკორდებიც კი აღინუსხება.

ტორონტოში გამართულ „პაპების" მორიგ საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრალიელმა ტეო ორმა (იგი 51 წლისაა) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3000 მეტრზე რბენაში — 9.22,2. მან 3,8 წამით გააუმჯობესა უწინდელი მიღწევა. 60 წელს გადაცილებულ სპორტსმენთა ჯგუფში რეკორდს მიაღწია ბილ ანდბერგმა, რომელმაც 3000 მეტრის გარბენას 10.46,9 მოანდომა. რამდენიმე წლის წინათ ამ 64 წლის სპორტსმენს ბრტყელტერფიანობის მძიმე ფორმა ჰქონდა და ძლივს მოძრაობდა, მაგრამ სპორტის სიყვარული, რეგულარული ვარჯიში (ფეხსაცმელში მას სპეციალური საფენი აქვს ჩაგებული) დაეხმარა ავადმყოფობის დაძლევაში. და აი, იგი უკვე რეკორდსმენია.

მსგავს შეჯიბრებებში მხოლოდ ჭეშმარიტად სპორტის ერთგული ხალხი მონაწილეობს. ტეო ორმა ტორონტოში ფინიშის შემდეგ თქვა: „ზოგიერთი ჩვენს ასაკში სავარძელში ნებივრობას ამჯობინებს. ისინი ძალიან ცდებიან. ყველაზე უკეთესია აქტიური დასვენება, რბენა კი ყველა წამალზე უკეთ მოქმედებს".

ვ. მილინი.

## „ტრადიციული" წაგება

მილანში, მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაში წილისყრის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ს. მარიოტი (იტალია), 2. ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი), 3. ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია), 4. ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), 5. გ. უნციკერი (გფრ), 6. უ. ბრაუნი (აშშ), 7. ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), 8. მ. ტალი (სსრ კავშირი), 9. უ. ანდერსონი (შვეცია), 10. ბ. ლარსენი (დანია), 11. ა. კარპოვი (სსრ კავშირი), 12. ლ. პორტიში (უნგრეთი).

I ტურში საბჭოთა დიდოსტატების — მსოფლიო ჩემპიონ კარპოვისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ პეტროსიანის პარტია 28-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. დასანანი მარცხი იწვნია მსოფლიოს მეორე ექს-ჩემპიონმა ტალმა. უნციკერთან შეხვედრაში მან თანაბარ პოზიციაში გაუმართლებელი რისკით ითამაშა და თვითონ მოექცა გამანადგურებელი იერიშის ქვეშ. ტალისთვის ეს „ტრადიციული" ჩვეულებაა — ტურნირის წაგებით დაწყება.

სმეიკალმა დაამარცხა ლარსენი, პორტიშმა — მარიოტი. მოსაგებ პოზიციაში ანდერსონმა ვერ მოასწრო საკონტროლო, მე-40 სვლის გაკეთება და წაგება ჩაეთვალა ლიუბოევიჩთან.

ბრაუნმა მოუგო გლიგორიჩს.

იტალიური გაზეთები ფართოდ აშუქებენ ტურნირს და აღნიშნავენ, რომ მილანში თავი მოიყარა მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესმა მოჭადრაკემ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეჯიბრებაში კარპოვის მონაწილეობა.

## იოსელიანი წინ მიიწევს

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნოვოსიბირსკის ნახევარფინალურ ტურნირში VI ტური შედგა.

ნ. იოსელიანმა (თბილისი) დაამარცხა ტ. კოსტინა (მინსკი), გ. ტიმოშჩენკომ (ნოვოსიბირსკი) — ტ. ანდრეევა (ფრუნზე), ლ. მაიოროვამ (ლენინგრადი) — ს. ლაკიუნაიტე (პანევეჟისი), ა. დეხტიარმა — ლ. სემიონოვა (ორივე — კიევი).

რ. აუზინია (რიგა) — ო. იგნატიევას, ნ. ტიტორენკო (ორივე — მოსკოვი) — მ. რანიკუს (ტალინი) პარტიები გადაიდო.

6 ტურის შემდეგ ლიდერობს რანიკუ, რომელსაც 5 ქულა და 1 (მოსაგებ მდგომარეობაში) გადადებული პარტია აქვს. 4-4 ქულა მოაგროვეს იოსელიანმა და სემიონოვამ.

ო. თურქესტანიშვილი.
(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

ნოვოსიბირსკი, 22 აგვისტო.

## დაუმარცხებლად მხოლოდ სავონი თამაშობს

ვილნიუსში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

წარუმატებლად ითამაშა მოსკოველმა კ. გრიგორიანმა, რომელმაც სამი პარტია წააგო: ხარკოველ ვ. სავონთან, მოსკოველებთან დ. ბრონშტეინთან და ი. ბალაშოვთან. პირველი მარცხი იწვნია მ. გულკომ (მოსკოვი), რომელმაც წააგო ლვოველ ა. ბელიავსკისთან. ბრონშტეინ — ბალაშოვისა და ნ. ვაჰანიან (ერევანი) — ბ. გუფელდის (თბილისი) შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ტურნირის ორი მესამედის — 10 ტურის შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ლიდერობს სავონი — 7 ქულა. ე. ვასიუკოვს (მოსკოვი), გულკოს, გუფელდსა და მ. ტაიმანოვს (ლენინგრადი) 6-6 ქულა აქვთ, ლ. ალბურტს (ოდესა), ბრონშტეინსა და ვ. ცეშკოვსკის (ომსკი) — 5,5-5,5, ბალაშოვს, ბელიავსკისა (ლვოვი) და რ. ხოლმოვს (მოსკოვის ოლქი) — 5-5, ვაჰანიანს — 4,5, ვ. ტუკმაკოვს (ოდესა) — 4, მ. დვორეცკის (მოსკოვი) — 3,5, გრიგორიანს — 3, ო. რომანიშინს (ლვოვი) — 2,5.

# თავსართი „ექს"

**როკური, 20 აგვისტო.** ბელგიის ერთ-ერთ უძველეს ველოდრომზე — ლიეჟის მახლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქის ტრეკზე დაიწყო მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი. ძველი ტრეკის სავალი ნაწილი რამდენიმე ადგილას აშკარად შელახული იყო და შეჯიბრების ორგანიზატორებმა ტურნირის წინ იგი პლასტიკატით შეაკეთეს სახელდახელოდ. აი, სწორედ ამ ახალშეკეთებულ ტრეკზე შეჯიბრების დაწყებამდე ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გიტში, ომსკელი ე. რაპი. მაგრამ საბჭოთა ველოსიპედისტი მაინც გამოვიდა 1000 მეტრზე გიტის სტარტზე და აჩვენა მეორე შედეგი (1.08,42), რისთვისაც ვერცხლის მედალი ხვდა. ოქროს ჯილდო კი კლაუს-იურგენ გრიუნკემ (გდრ) მოიპოვა, რომელმაც მსოფლიოს აწ უკვე ექს-ჩემპიონს 0,12 წამით აჯობა.

ბრინჯაოს მედალი მიიღო პოლონელმა ი. კეშკოვსკიმ — 1.08,58. IV ადგილზეა სახელგანთქმული ფრანგი ველოსიპედისტი ჰ. ტრანტენო — 1.09,23.

• • •

სურათზე: ე. რაპი.
საკდესის ფოტო.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ-75

● **მინსკი, 21 აგვისტო.** თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა, კიეველმა პ. ლედნიოვმა — 5348 ქულა. II ადგილზე გავიდა პოლონელი ი. პეჩაკი — 5326, ხოლო III — უკრაინის წარმომადგენელი დ. სუშკოვი — 5227. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: უნგრეთი — 15237 ქულა, სსრ კავშირი II — 15197, უკრაინა — 15061. შეჯიბრებაში ზემოდასახელებული ქვეყნების გარდა მონაწილეობდნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ავსტრიის წარმომადგენლები.

● **ბერლინი, 21 აგვისტო.** ლენინგრადის ასკ-ს ჰოკეისტთა გუნდმა დასავლეთ ბერლინში ანგარიშით 5:2 დაამარცხა ადგილობრივი „სკ ბერლინერი".

# ფსიქოლოგიაც ბრძოლის ხერხია

## წიგნის თარო

თანამედროვე საჭადრაკო პრაქტიკაში წარმატების ერთ-ერთი სერიოზული წინაპირობაა მოჭადრაკის ფსიქოლოგიური მომზადება. სწორედ ამ საკითხზე მუშაობს სარატოველი სწავლული ფსიქოლოგი და საერთაშორისო დიდოსტატი ნ. კროგიუსი. ახლახან მან გამოსცა მეტად საყურადღებო წიგნი — „მოჭადრაკის ფსიქოლოგიური მომზადება".

კროგიუსი დიდი ხანია ფსიქოლოგიის თვალსაზრისით აკვირდება მოჭადრაკეთა პრაქტიკულ გამოსვლებს. თავისი დაკვირვებების ერთი ნაწილი მან ორიოდე წლის წინათ საკანდიდატო დისერტაციაში განაზოგადა. მის შეხედულებებს ახლა მეცნიერები და მოჭადრაკეებიც იზიარებენ.

კროგიუსის ახალი ნაშრომი რიგითი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება. მასში უხვადაა მოტანილი მოჭადრაკეთა ცხოვრებიდან ყურადსაღები ამბები. თითქოს უმნიშვნელო შემთხვევების ერთობლივი შესწავლით ავტორი პრაქტიკული ღირებულების რჩევა-დარიგებებს იძლევა.

დიდოსტატს მისაბაძ მაგალითისთვის წიგნში ღრმად გაურჩევია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ეივეს შემოქმედება და სპორტული შედეგები. მოჭადრაკე ამ მეთოდით უნდა ჭვრეტდეს არა მხოლოდ მეტოქის, არამედ საკუთარ თამაშსაც.

წიგნის თავების სათაურების მიხედვითაც კი ნათელია, რომელ საკითხებს უნდა მიაქციოს ყურადღება მოჭადრაკემ ფსიქოლოგიური მომზადების პროცესში. აი, ეს სათაურებიც: „მთავარია ბრძოლა", „როგორ ემზადებოდნენ ისინი" (ლაპარაკია წარსულში ცნობილ დიდოსტატებზე — თ. გ.), „პარტიის ანალიზი", „შედეგების ანალიზი", „ქრონომეტრაჟი", „ყურადღება მიაქციეთ მეტოქის გარეგნობას", „მეტოქის თვალით", „თვითშემეცნების გზით", „რეფლექსური მართვა"...

მეტოქის ფსიქოლოგიური მონაცემების შესახებ მასალების შეგროვება ძირითადად დაკვირვებით ხდება. ამის საილუსტრაციოდ კროგიუსს ასეთი მაგალითი მოჰყავს: როცა ტ. პეტროსიანმა კიურასაოზე პრეტენდენტთა ტურნირში (1962 წ.) რ. ფიშერის წინააღმდეგ ფრანგული დაცვის მძიმე ვარიანტი გაითამაშა, ამერიკელმა წყენით შეხედა მას. ეს პეტროსიანმა შეამჩნია და გაუხარდა. ფიშერი ფსიქოლოგიურად განეწყო მეტოქის „დასჯისთვის" და ზედმეტი თვითდაჯერებით თამაშობდა, სწორედ ისე, როგორც პეტროსიანს სურდა. ფიშერი აჩქარებით და უზუსტოდ იბრძოდა დებიუტში და ბოლოს დამარცხდა კიდეც.

ზოგჯერ მეტოქე თავის სულიერ მდგომარეობას დაფაზე ფიგურების გადაადგილებითაც ამჟღავნებს. კროგიუსი შენიშნავს, მაგალითად, რომ, როცა გუფელდი ფიგურას დაფის უჯრის ცენტრში დგამს, იგი კარგ ხასიათზეა, მაგრამ, როცა ფიგურას თითქმის უჯრებს შორის აყენებს, მაშინ აღელვებულია.

მეტოქის დაკვირვებულ შემსწავლელს არც ის გამოეპარება, ვინ როგორ თამაშობს გადამწყვეტ შეხვედრებს. ამ მხრივ, კროგიუსის აზრით, პეტროსიანსა და მ. ტალს ტოლი არა ჰყავთ.

ღრმად შესასწავლია მეტოქის საჭადრაკო ცოდნა, ჩვევები, საყვარელი მანევრები, პოზიციები...

ყველაფერს უნდა მიექცეს ყურადღება, თუ გსურს მოჭადრაკის შინაგან სამყაროს, მის ფსიქოლოგიურ მრწამსს ჩასწვდე. კროგიუსი ამბობს, რომ აუცილებელია მოჭადრაკის ფსიქოლოგიის შესწავლასთან ერთად თამაშის თეორიისა და პრაქტიკის დაუფლება, რაც უმაღლესი საჭადრაკო შემოქმედების ერთიანი გზაა.

„მოჭადრაკის ფსიქოლოგიური მომზადება" უდავოდ სასარგებლო ნაშრომია. მასში მითითებული მეთოდებით ყველა მოჭადრაკეს, ვისაც კი შეჯიბრებაში მონაწილეობა უხდება, შეუძლია გაიმდიდროს საბრძოლო არსენალი, ღრმად ჩასწვდეს საკუთარი შემოქმედების ხარვეზებს და მეტოქეთა თამაშის ავ-კარგს.

თ. გიორგაძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. ასკ-ს სტადიონი. 23 აგვისტო. უნივერსიტეტი (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი). დასაწყისი 18 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. 24 აგვისტო. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი). 17 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51. პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57. ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49

ბურჟუაზიული სპორტის ზნე-ჩვეულებანი

# ვის სჭირდება ყოფილი მეკარე?

„შტუტგარტის" ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მეკარე გერჰარდ ჰაინცე, როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, სამუშაოს ეძებს...

სპორტსმენ პროფესიონალთა მდგომარეობაზე ბევრი იწერება. დასავლეთის პრესას უყვარს ვარსკვლავების სუპერ-ჰონორარების შესახებ ცნობების ბეჭდვა, საკუთარ ვილებთან თუ მდიდრულ ავტომანქანებთან გადაღებული მათი სურათების გამოქვეყნება. მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. გარდა ამისა, მიულერისა და ბეკენბაუერისთანა მოთამაშენი ცოტანი არიან. უმეტესობა საშუალო ფეხბურთელია: საშუალონი გასამრჯელოსაც საშუალოს იღებენ. ასეთ ფეხბურთელებს კლუბები უფრო ხშირად ყიდიან და ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ, უბრალოდ, უარი თქვან მათს სამსახურზე.

ჰაინცე „საშუალო" იყო და დადგა დღე, როცა კლუბს იგი აღარ დასჭირდა. იგი მუშა ფეხბურთელი იყო, ვარჯიშობდა, თამაშობდა და, რაკი კაპიტალის დაგროვების საშუალება არ ჰქონდა, იმედოვნებდა, ასე დიდხანს იქნებაო...

გავა კიდევ რამდენიმე ხანი და შეიძლება ფეხბურთელს შესთავაზონ რამე ისეთი სამუშაო რაც კვალიფიკაციას არ მოითხოვს...

დიახ, პროფესიონალი სპორტსმენების უმეტესობას მომავალი არა აქვს. ადრე თუ გვიან სპორტულ სარბიელზე მათი გამოსვლები წყდება და დგება საკითხი: რა იქნება შემდეგ? ჰაინცე, ისევე როგორც ბევრი სხვა, უმუშევართა არმიას შეუერთდა.

ИНДЕКС 66418

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03963